# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1260 2018 წლის 8 ივნისი ქ. თბილისი

**წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე**

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს „მენო ინტერნეიშნლს“ შორის დასადები მორიგების აქტის მოწონების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 აპრილის №732 განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს „მენო ინტერნეიშნლს“ შორის მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის ასანაზღაურებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოუყოს 229 562 (ორას ოცდაცხრა ათას ხუთას სამოცდაორი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი